საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად:

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

   1.1 შენობების დინამიკური, არაწრფივი გაანგარიშება - 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი;

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **შენობების დინამიკური, არაწრფივი გაანგარიშების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს:

   - ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
   - განხორციელებული კვლევები შემდეგი მიმართულებებით: მაღლივი შენობების არაწრფივი დინამიკური ანალიზი; რკინაბეტონის დიდმალიანი გადახურვები;
   - სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები;
   - უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: მასალათა გამძლეობა, სამშენებლო მექანიკა, საანგარიშო პროგრამები;
   - პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება დაზიანებული შენობების გამაგრება-გაძლიერების მიმართულებით;
   - განხორციელებული პროექტები;
   - თანამედროვე საანგარიშო პროგრამების ცოდნა, როგორიცა: Ansys, SAP2000, ETABS, Lira-SAPR;
   - სამშენებლო ნორმებით მუშაობის გამოცდილება, როგორიცაა: სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01-09) და ევროკოდი 0, 1, 2 და 8.
   - ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
   - უცხოეთის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან კოლაბორაციის გამოცდილება;

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2026 წლის 27 ივლისიდან - 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   - ბიოგრაფია (CV);
   - სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   - შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   - ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   - პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/261733303582454**

7. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე, შერჩეულ კანდიდატებთან, ჩატარდება გასაუბრება (ან საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება საჩვენებელი ლექცია).

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2026 წლის 3 აგვისტოდან - 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.** კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2026 წლის 18 აგვისტო.**

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.
ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge
ელ.მისამართი: vacancy@agruni.edu.ge